# განმარტებითი ბარათი

## „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

*ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:*

კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია „პატიმრობის კოდექსის'' ახალი პროექტის მომზადებით, რომელიც ითვალისწინებს სასჯელაღსრულების ორგანოების სისტემურ ცვლილებას.

*ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:*

კანონპროექტის მიზანია „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ'' საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის“ ახალ პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა.

*ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:*

კანონპროექტი მომზადებულია „პატიმრობის კოდექსის“ ახალი პროექტიდან გამომდინარე. კანონპროექტის შესაბამისად, ტერმინი „თავისუფლების აღკვეთის ადგილი'' იცვლება ტერმინით „წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება''. ამასთან, კანონპროექტის მიხედვით, საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულდება საქართველოს პატიმრობის კოდექსის, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონებით დადგენილი წესით.

### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

*ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:*

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

*ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:*

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

*ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:*

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

*ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:*

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

*ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:*

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს.

*ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):*

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

## გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

*გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:*

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

*გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:*

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

*გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:*

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება *საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.*

## დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

***დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:***

კანონპროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

***დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:***

ასეთი არ არსებობს.

***დ.გ) კანონპროექტის ავტორი***

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

***დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი***

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.